20/08/2026

MES 3 26 0001071669

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 6 აგვისტოს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=87226025037
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში –საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ხათუნა ცერცვაძე – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
ანა არუშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);
გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლელა კიკნაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარიამ სულთანიშვილი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

მიმოზა ღოლიჯაშვილი
ალექსანდრე კეკენაძე
ნინო ქიტიაშვილი
მაია ხურცილავა
შორენა ალაგარდაშვილი
შოთა კოჩაძე
ვალერი ჯაჯანიძე
ანა ქურციკიძე
ხათუნა ჩომახიძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი "თეთნულდი"
დირექტორის მოადგილე – ნანული ხვისტანი
ხარისხის მართვის მენეჯერი – თეონა ჯაფარიძე

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
რექტორი – სოფიო მაჭარაშვილი
რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში – ზურაბ ლობჟანიძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი – ალინა კუპრავა

შპს ორიენტირი
დირექტორი – რამაზ მაჭარაშვილი
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი – ნონა ფანჯიკიძე
„ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი – თამაზ ისაკაძე
იურისტი – ივანე ბალახაშვილი

შპს პროფესიული კოლეჯი მენტორი
დირექტორი მარიამ ქადარია

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:00 საათი.
საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის

მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. სსიპ – კოლეჯ „თეთნულდში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ორიენტირისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს პროფესიული კოლეჯი მენტორის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: სსიპ – კოლეჯ „თეთნულდში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მიმოზა ღოლიჯაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ კოლეჯი თეთნულდის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიები“, მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2026 წლის 24 ივნისს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი კოლეჯ „თეთნულდში“; ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 03 სექტემბრის სხდომის ოქმი, რომლის დროსაც დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დაწესებულება 2.4. ინდიკატორთან მიმართებით შეფასებული იყო „მეტწილ შესაბამისად“. მიმდინარე მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ: 2.4.2.1 ინდიკატორის ფარგლებში ვალიდაციის მექანიზმების გადახედვის, სრულყოფისა და პროცედურის შესაბამისად შესრულების პროცესი, რის საფუძველზეც ინდიკატორი შეფასდა „სრულ შესაბამისობაში“; ამასთანავე, მონიტორინგის პროცესში შესწავლილ იქნა გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შედეგები 2.4.2.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიმართულებით, სადაც ადგილზე გადამოწმდა ვერიფიკაციის მექანიზმის გადახედვისა და სრულყოფის პრაქტიკა, რის საფუძველზეც აღნიშნული ინდიკატორიც შეფასდა „სრულ შესაბამისობაში“. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სადაც მიმდინარეობს აღნიშნულ პროგრამაზე სწავლება; ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

დოკუმენტაციის დეტალური ანალიზითა და ადგილზე გადამოწმებით დადასტურდა, რომ კოლეჯმა სრულად შეასრულა შესაბამისობის უზრუნველყოფის განახლებული გეგმით ნაკისრი ვალდებულებები. კერძოდ, 2.4.2.1 და 2.4.2.2 ინდიკატორების ფარგლებში, დაწესებულებამ გადასინჯა და სრულყო ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მექანიზმები, რაც დამტკიცდა დირექტორის 2026 წლის 27 მაისის ბრძანებებით (№02/32 – „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები“ და №02/31 – „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და კვლევის მეთოდოლოგია“). წარმოდგენილი მტკიცებულებებით – ვერიფიკაციის ჯგუფის ოქმებით, შეფასების უწყისებით, ხარისხის მენეჯერის ანგარიშითა და პროგრამის ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნით – დადასტურდა, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხორციელდება გამჭვირვალე, ქმედითი და ციკლური პრინციპით. პროგრამის პარამეტრების მიხედვით, საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 30 პირს შეადგენს, საიდანაც ამჟამად აქტიური სტატუსი აქვს 8 სტუდენტს, ხოლო 6 პირს შეწყვეტილი აქვს სტატუსი. ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არაინტეგრირებული სასწავლო გეგმა მოიცავს 80 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანთათვის – 95 კრედიტს.

სასწავლო პროცესის ორგანიზების კომპონენტში (2.4.1) ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროგრამა ხორციელდება დირექტორის 2025 წლის 25 თებერვლის №02/15 ბრძანებით დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტისა და 2025-2026 სასწავლო წლის საათობრივი ბადის დაცვით. ქართულენოვანი კონტინგენტისთვის 61 კრედიტი გადანაწილებულია 42 სასწავლო კვირაზე (10 თვე) და მოიცავს 6 ზოგად, სავალდებულო პროფესიულ და სპეციფიკურ კომპონენტებს (გაცნობითი პრაქტიკა, პრაქტიკული პროექტი, IT Support). სასწავლო გეგმაში ასახულია მოდულების დაშვების წინაპირობები. კოლეჯი იჩენს მაღალ ინტერესს სტუდენტთა საჭიროებების მიმართ: ვინაიდან სტუდენტთა ნაწილი პარალელურად საჯარო სკოლის მოსწავლეა, სასწავლო პროცესის დაწყების დრო და გრაფიკი იმგვარად არის ადაპტირებული, რომ ხელი არ შეეშალოს მათ ზოგად განათლებას და უზრუნველყოფილ იქნას ორივე საფეხურზე სრულფასოვანი სწავლის შესაძლებლობა. ასევე მოქმედებს საკონსულტაციო

შეხვედრები, ინდივიდუალური მეცადინეობის სერვისი და ჯგუფის შეცვლის პრაქტიკა. სწავლებისას გამოიყენება თანამედროვე ინტერაქტიული მეთოდები და Cisco-ს საერთაშორისო საგამოცდო პლატფორმა. ვინაიდან პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს და პრაქტიკული კომპონენტი სრულად მიმდინარეობს კოლეჯის იმიტირებულ გარემოში, სადაც სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან ანტისტატიკური ხალიჩებით, დამცავი სამაჯურებითა და სათვალეებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით.

სტუდენტთა შეფასების სისტემასა და ვერიფიკაციასთან (2.4.2) მიმართებით აღინიშნა, რომ კოლეჯში მოქმედი მექანიზმები სრულად უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. ვერიფიკაციის პროცესი დაფუძნებულია რისკების რეესტრზე, სადაც რისკის დონის მიხედვით (დაბალიდან კრიტიკულამდე) განისაზღვრება შესასწავლი ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შერჩევის მოცულობა (20%-დან 100%-მდე). ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც ინტერესთა კონფლიქტის აცილების მიზნით არ მონაწილეობენ ინსტრუმენტის ავტორები, აფასებს ინსტრუმენტებს, პროცესსა და შექმნილ მტკიცებულებებს. შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და სტუდენტთა პორტფოლიოები ინახება 3 წლის ვადით, ხოლო ძირითადი უწყისები არქივს გადაეცემა უვადოდ. შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა განმავითარებელი უკუკავშირისთვის, პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიისათვის, შეფასების ინსტრუმენტების კორექტირებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, კოლეჯ „თეთნულდში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ინფორმაციის ტექნოლოგიები“, მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებული მე-2 სტანდარტის 2.4 კომპონენტი ცნობილ იქნა ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, იკითხა ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებით, კერძოდ, რა პროცედურები ხორციელდებოდა 2025 წლის შემოდგომიდან, ავტორიზაციის საბჭოს შემდგომ, 2026 წლის მაისამდე და რა პერიოდის ოქმები შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფმა. ავტორიზაციის ექსპერტმა, მიმოზა ღოლიჯაშვილმა, განმარტა, რომ კოლეჯი ეტაპობრივად მუშაობდა დახარვეზებული დოკუმენტაციის გადახედვასა და მოდიფიცირებაზე. ახალ დოკუმენტში კანონმდებლობისა და სტანდარტების დაცვით გაიწერა ვერიფიკაცია-ვალიდაციის პროცესი, ინტერესთა კონფლიქტის პრევენციისა და შეფასების ჯგუფის საქმიანობის მექანიზმები. ექსპერტის განცხადებით, ჯგუფმა შეისწავლა შესაბამისი ოქმები, ვერიფიკაციის გეგმა და შეფასების უწყისის ფორმები, ხოლო ინტერვიუების შედეგები სრულად დამაკმაყოფილებელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ყურადღება გაამახვილა წარმოდგენილ მტკიცებულებებში სამართლებრივი აქტების ქრონოლოგიურ აცდენაზე. კერძოდ, მტკიცებულებების მიხედვით: ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფი შეიქმნა 2026 წლის 14 მაისს; ვერიფიკაციის პროცესი ჩატარდა 2026 წლის 15–20 მაისს; ანგარიში მომზადდა 2026 წლის 21 მაისს; ხოლო პროცესის მარეგულირებელი წესები (ბრძანებები №0231 და №0232) დამტკიცდა მოგვიანებით – 2026 წლის 27 მაისს. თავმჯდომარემ იკითხა, ხომ არ ჰქონდა ადგილი პროცესის უკუთარიღით გაფორმებას და რატომ არ მიეცა აღნიშნულს შეფასება ექსპერტთა დასკვნაში.

ექსპერტმა მიმოზა ღოლიჯაშვილმა აღნიშნა, რომ პროცესი ფაქტობრივად თანმიმდევრულად მიმდინარეობდა და არ გამორიცხა ტექნიკური შეცდომა თარიღების ასახვისას.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, იკითხა, ხომ არ უკავშირდებოდა 27 მაისის ბრძანება ძირითად დოკუმენტში განხორციელებულ უმნიშვნელო ცვლილებას და ითხოვა აღნიშნული დოკუმენტის გაზიარება/დაზუსტება. დაწესებულების კონსულტანტმა, მარიამ აბელიანმა, განმარტა, რომ ვერიფიკაციის ძირითადი მექანიზმი შემუშავდა და დამტკიცდა მაისის დასაწყისში, რომლის საფუძველზეც ჩატარდა პროცესი. 2026 წლის 27 მაისის ცვლილება კი შეეხო მხოლოდ დასკვნის ფორმის დანართს, სადაც შეფასების კრიტერიუმებს („კი“/„არა“) დაემატა ნაწილობრივი შეფასებისა და კომენტარების სვეტები. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და დასკვნაში აღნიშნული დეტალები სრულყოფილად არ იყო ასახული.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში მითითებულია ჩანაწერი: „თუ სტუდენტს გაუჭირდა სწავლის შედეგის დადასტურება, ხდება ინსტრუმენტის კორექტირება-გამარტივება სტუდენტისათვის უფრო აღქმადი ფორმით“. თავმჯდომარემ იკითხა, ხომ არ იწვევს ინსტრუმენტის გამარტივება პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული კვალიფიკაციის მოთხოვნების ხელოვნურ შემცირებას. ექსპერტმა მიმოზა ღოლიჯაშვილმა და დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ განმარტეს, რომ აღნიშნული ჩანაწერი მარეგულირებელ წესშია გაწერილი, ხოლო პრაქტიკაში გამარტივებული ინსტრუმენტის გამოყენების ფაქტი არ დაფიქსირებულა; მათ მიერ შემოწმებული ინსტრუმენტები სრულად უზრუნველყოფდა სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ინსტრუმენტის გამარტივების პრეცედენტი არ ყოფილა და აღნიშნულში მოიაზრებოდა სტუდენტის მხარდაჭერა დამატებითი მეცადინეობების სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, აღნიშნა, რომ მსგავსი ფორმულირება წესში არ არის კორექტული და საჭიროებს დაზუსტებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, მიუთითა ცდომილებაზე, პროგრამის ოფიციალურ ფორმასა და განხორციელების რეალურ მოდელს შორის: პროგრამის დოკუმენტაციაში სწავლების ფორმატად მითითებულია „კოოპერაციული“, ხოლო 2.4.1.5 ინდიკატორის შეფასებისას ექსპერტები მიუთითებენ, რომ პარტნიორი ორგანიზაცია არ არის და სწავლება სრულად მიმდინარეობს კოლეჯის იმიტირებულ გარემოში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა სრულად ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე, იმიტირებულ გარემოში, ხოლო პროგრამის დოკუმენტში მითითებული „კოოპერაციული“ წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს. ექსპერტმა მიმოზა ღოლიჯაშვილმა დაადასტურა, რომ ადგილზე შემოწმებისას პროცესი მიმდინარეობდა კოლეჯის ბაზაზე არსებულ შესაბამის ფართში, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ითხოვა განმარტება კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 22 მაისის №0227 ბრძანებით დამტკიცებულ „ხარვეზის აღმოფხვრისა და გაუმჯობესების გეგმასთან“ დაკავშირებით, იმ ფონზე, როდესაც 2.4 კომპონენტში ექსპერტთა მიერ ხარვეზი ან რეკომენდაცია არ დაფიქსირებულა. დაწესებულების კონსულტანტმა, მარიამ აბელიანმა, განმარტა, რომ გეგმა შემუშავდა შიდა ვერიფიკაციის შედეგად გამოვლენილი საკითხების (შეფასების ფორმები, ხანგრძლივობის ვადები) გასაუმჯობესებლად. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველი იყო ექსპერტებს აღნიშნული გარემოება დასკვნაშიც აესახათ. ინტერესთა კონფლიქტის მართვასთან დაკავშირებით, მარიამ აბელიანმა განმარტა, რომ IT მიმართულებით

კოლეჯს ჰყავს ორი მოქმედი მასწავლებელი: ერთმა შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტები, ხოლო მეორემ ჩაატარა მათი ვერიფიკაცია, რამაც უზრუნველყო ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – კოლეჯ "თეთნულდში" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგია" მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ – კოლეჯ "თეთნულდში" (ს/კ: 235891512) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგია" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი ხათუნა ჩხარტიშვილი შემოუერთდა სხდომას.

მეორე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს მდივანს, ნათია ბუთხუზს, ჰქონდა აცილება, საბჭოს მდივნად განისაზღვრა ეკატერინე გიგაშვილი.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ქიტიაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 05 მაისის №635807 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: ნინო ქიტიაშვილი (თავმჯდომარე) და მაია ხურცილავა (წევრი), დაევალა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2026 წლის 26 ივნისს განახორციელა ვიზიტი მისამართზე: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №28, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით და საქმიან გარემოში, ჩატარდა გასაუბრებები ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური და სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული ძირითადი მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ ავტორიზაციის დებულების აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც შესაბამისი.

ხარვეზები არ დაფიქსირებულა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის და განმავითარებელი არ გაცემულა.

პროგრამის ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას აღინიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ შეესაბამება მეხუთე დონეს, რომლის სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0411 და მისანიჭებელ კვალიფიკაციას წარმოადგენს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში. პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის 2026 წლის 6 მაისის N2/55 ბრძანებით. პროგრამის განხორციელების ენად განსაზღვრულია ქართული, ხოლო განხორციელების მისამართია ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №28. სწავლება იგეგმება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმის გამოყენების გარეშე. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 97 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის – 127 კრედიტს. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 88 სტუდენტს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტის (2.1) ანალიზმა აჩვენა, რომ დაწესებულების გადაწყვეტილება პროგრამის დამატების შესახებ ეფუძნება შრომის ბაზრის კომპლექსურ კვლევებს, მათ შორის LMIS-ის მონაცემებს, hr.ge-ს ვაკანსიებსა და საერთაშორისო ანგარიშებს, რაც ადასტურებს ფინანსურ-საბუღალტრო მიმართულებაზე მაღალ მოთხოვნას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება,

ხოლო ჩარიცხვის პროცედურები მოწესრიგებულია აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რაც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (88 სტუდენტი) გაანგარიშებულია სპეციალური მეთოდოლოგიით, არსებული ინფრასტრუქტურის, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებისა და პერსონალის დატვირთვის გათვალისწინებით. მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, არჩევითი მოდულები პროგრამას არ გააჩნია, ხოლო პროგრამის დამტკიცება განხორციელებულია უფლებამოსილი პირის მიერ. პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს მის შინაარსს, არ არის შეცდომაში შემყვანი და თავად პროგრამის სტრუქტურა სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ყველა მოთხოვნას, სადაც სტუდენტის კვირეული დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული კომპონენტი შეაფასა როგორც სტანდარტთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების შეფასებისას აღინიშნა, რომ აკადემია უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მათ შორის 22 კომპიუტერით, პროგრამული უზრუნველყოფითა და დამხმარე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი (12 ზოგადი და 8 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი), რომელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს და თითოეულ მოდულს ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი, რაც უზრუნველყოფს პროცესის მდგრადობას. პერსონალს უდასტურდება სათანადო კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება, ხოლო პროგრამას უძღვება შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბიბლიოთეკაში მატერიალურად, ისე ელექტრონულად OFEN Biblio სისტემისა და აკადემიის ვებ-გვერდის მეშვეობით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის უზრუნველყოფილია ადაპტირებული გარემო და მხარდამჭერი მექანიზმები. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს 88 სტუდენტზე ვაუჩერულ დაფინანსებას, ხარჯები გათვლილია რეალისტურად, ხოლო რენტაბელობის ზღვარი შეადგენს არანაკლებ 20 სტუდენტს, რაც ადასტურებს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. აღნიშნული კომპონენტიც შეფასდა როგორც სტანდარტთან შესაბამისი.

პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმების მიმოხილვისას (2.3) აღინიშნა, რომ აკადემიაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს (PDCA) და ითვალისწინებს შრომის ბაზრის კვლევას, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მასწავლებლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას. დაწესებულებას გააჩნია ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზისა და პროგრამაში დასაბუთებული ცვლილებების შეტანის მკაფიოდ ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მუდმივ განვითარებასა და სრულყოფას. აღნიშნული კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც სტანდარტთან შესაბამისი.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების კომპონენტში (2.4) ხაზი გაესვა იმას, რომ სწავლება მიმდინარეობს სასწავლო გეგმის დაცვით, სტუდენტთა ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. გამოყენებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგობრივი ტექნოლოგიები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში, სადაც დაცულია შრომის უსაფრთხოების ნორმები და კომპიუტერულ ლაბორატორიაში მუშაობის წესები. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების ინსტრუმენტებისა და პროცესის ვერიფიკაციის ქმედითი მექანიზმი, შეფასების მტკიცებულებები უსაფრთხოდ ინახება 3 წლის ვადით, ხოლო

უწყისები ინახება უვადოდ. შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისა და ინდივიდუალური უკუკავშირისთვის, პერსონალური მონაცემების სრული დაცვით. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული კომპონენტიც სრულად შეესაბამება დადგენილ სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დასვა კითხვა პროგრამის სპეციფიკასთან დაკავშირებით. კერძოდ, რამდენად უზრუნველყოფს იმიტირებული სამუშაო გარემო კომპლექსური პრაქტიკული სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევას და როგორ ჩაანაცვლებს იგი რეალურ სამუშაო გარემოს. დარგის ექსპერტმა, მაია ხურცილავამ, განმარტა, რომ ბუღალტერიის სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, რეალურ ორგანიზაციებში პრაქტიკის გავლისას დგება მონაცემთა კონფიდენციალურობის საკითხი, რაც ზღუდავს სტუდენტთა უშუალო წვდომას რეალურ ფინანსურ დოკუმენტაციასთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დარგობრივ მოდულებს ახორციელებენ მოქმედი პრაქტიკოსი ბუღალტრები, რომლებიც სასწავლო პროცესში იყენებენ რეალურ ქეისებს. შესაბამისად, იმიტირებული გარემო და პრაქტიკოსი პერსონალი სრულად უზრუნველყოფს პროგრამითა და მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კოლეჯის რექტორმა, სოფიო მაჭარაშვილმა, დაადასტურა, რომ დაწესებულების წინა გამოცდილებამ აჩვენა იმიტირებული გარემოს უპირატესობა. რეალურ ორგანიზაციებში სტუდენტებს არ ეძლეოდათ ბუღალტრულ პროცესებზე სრული წვდომის შესაძლებლობა, ხოლო ადგილზე, რეალურ ქეისებზე მუშაობა სტუდენტთა ინტერესებსა და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებას უკეთესად ემსახურება. ავტორიზაციის ექსპერტმა, ნინო ქიტიაშვილმა, დასძინა, რომ რეალურ კომპანიებში ბუღალტრული მონაცემების სენსიტიურობის გამო, ორგანიზაციები ერიდებიან სტუდენტებისთვის რეალური პროცესების სრულად ჩვენებას, რაც იმიტირებული გარემოს გამოყენებას უფრო ეფექტურს ხდის.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, იკითხა, თუ რა პროგრამულ უზრუნველყოფას იყენებს დაწესებულება სწავლების პროცესში, ORIS-ის პროგრამის გარდა. დარგის ექსპერტმა, მაია ხურცილავამ, განმარტა, რომ სტუდენტებს იმიტირებულ რეჟიმში აქვთ წვდომა შემოსავლების სამსახურის პორტალზე (RS.ge) შესაბამისი პროცედურების განასახორციელებლად; სასწავლო პროცესისთვის სრულიად საკმარისია საბუღალტრო პროგრამა ORIS-ის გამოყენება; დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან“, რაც პედაგოგებსა და სტუდენტებს საკანონმდებლო სიახლეებზე წვდომის საშუალებას აძლევს.

თავმჯდომარის დამატებით შეკითხვაზე პედაგოგთა საკვალიფიკაციო სერტიფიკატების შესახებ, ექსპერტმა მაია ხურცილავამ დაადასტურა, რომ განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით დასტურდება მათი აკადემიური განათლება, პრაქტიკული გამოცდილება და უახლესი პროფესიული სერტიფიკატები (მათ შორის, პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის – BAF-ის სერტიფიკატები).

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ალინა კუპრავამ, აღნიშნა, რომ აკადემია აღნიშნულ პროგრამას ახორციელებდა 2018-2020 წლებში, ხოლო მიმდინარე პროგრამა წარმოადგენს ახალ, გადამუშავებულ სტანდარტზე ადაპტირებულ ვერსიას. ალინა კუპრავამ და სოფიო მაჭარაშვილმა აღნიშნეს, რომ სწორედ 2018-2020 წლების პრაქტიკამ აჩვენა, რომ პარტნიორ ორგანიზაციებში გაცნობითი თუ საწარმოო პრაქტიკის დროს სტუდენტები ვერ იღებდნენ სრულყოფილ გამოცდილებას კონფიდენციალურობის პოლიტიკის გამო. ვინაიდან

პროგრამა მოიცავს პრაქტიკულ პროექტს და არა კლასიკურ საწარმოო პრაქტიკას, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი სრულად იმიტირებულ გარემოში განხორციელების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ **(დანართი 1).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 6 აგვისტო.

მესამე საკითხი: შპს ორიენტირისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, შორენა ალაგარდაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტების საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 8 ივნისის №683676 ბრძანების საფუძველზე 2026 წლის 22 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს ორიენტირში (ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №26) „ელექტროობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წინასწარ და ვიზიტის პერიოდში მოწოდებული ინფორმაცია. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები. შპს ორიენტირს ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, ხოლო ამჯერად კოლეჯი ითხოვს „ელექტროობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას სტუდენტთა ზღვრული ოდენობით 40. ვიზიტის ფარგლებში ასევე განხორციელდა გასვლა პრაქტიკის ობიექტზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიაში", სადაც ექსპერტებმა დაათვალიერეს ფიზიკური სივრცე და ჩაატარეს ინტერვიუ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი საკითხები დეტალურად აღწერილია შესაბამის ინდიკატორებთან.

ხარვეზები არ გამოვლენილა. გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1 ინდიკატორთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ კოლეჯს შეძენილი აქვს პროგრამა ,,ელექტროობის“ მოდულების („ელექტროსამონტაჟო სამუშაოები“, „ელექტრული წრედები“) განხორციელებისთვის საჭირო სამონტაჟო დაფა (ფანერა ან სხვა შესაბამისი ხის მასალა). სასურველია, დაფა კედელზე დამონტაჟდეს და სასწავლო პროცესისთვის მზად იყოს, რაც პრაქტიკული სწავლების ეფექტიან განხორციელებას შეუწყობს ხელს.

2.2.1.3 ინდიკატორთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებელი დარგობრივი მოდულების მასწავლებლების ნაწილი ფლობს შესაბამის დარგობრივ განათლებასა და კომპეტენციას, თუმცა სწავლებისა და შეფასების მიმართულებით პრაქტიკული გამოცდილება ეტაპობრივად ყალიბდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია პერსონალის განვითარების გეგმაში უფრო მკაფიოდ აისახოს სწავლა-სწავლებისა და შეფასების მიმართულებით პროფესიული განვითარების მიზნობრივი აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს მასწავლებელთა პრაქტიკული გამოცდილების გაძლიერებას და პროგრამის ეფექტიან განხორციელებას.

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის შესახებ

დაწესებულებამ 2026 წლის 7 ივლისის №00013145 წერილით ცენტრს წარუდგინა არგუმენტირებული პოზიცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2026 წლის 29 ივნისს წარდგენილ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. დაწესებულებამ დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს დაეთანხმა, გარდა 2.2.1.1 ინდიკატორთან დაკავშირებული ერთი ფაქტობრივი გარემოებისა. კერძოდ, კოლეჯმა მიუთითა, რომ ელექტროობის მოდულებისთვის („ელექტროსამონტაჟო სამუშაოები“, „ელექტრული წრედები“) განკუთვნილი სამონტაჟო დაფა (ფანერა ან ხის მასალა) წარმოადგენს პროგრამის დანართი №16-ით განსაზღვრული მატერიალური რესურსების ჩამონათვალის „მასალისა და ნედლეულის“ ნაწილს. შესაბამისად, პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კოლეჯს არ ევალება მისი კედელზე დამონტაჟება პროგრამის განხორციელების დაწყებამდე და აღნიშნული რესურსის უზრუნველყოფა განხორციელდება უშუალოდ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად.

შპს „ორიენტირის“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა „ელექტროობა“, რომელიც შეესაბამება პროფესიული განათლების მესამე დონეს. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0713, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაციაა საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში (Basic Vocational Qualification in Electricity). პროგრამა დამტკიცებულია შპს „ორიენტირის“ დირექტორის 2026 წლის 22 მაისის №9566 ბრძანებით. სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №26. პროგრამის განხორციელების ფორმად განსაზღვრულია რეალურ სამუშაო გარემოში სწავლება (კოოპერაციული მოდელი). პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40-ს (ორი 20-კაციანი ჯგუფი). კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არის 66 კრედიტი, ხოლო არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 81 კრედიტი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა და დაეთანხმა მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამატების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიას, სტრატეგიულ განვითარებასა და სამოქმედო გეგმებს. პროგრამის მიზანშეწონილობის კვლევამ დაადასტურა ელექტროტექნიკურ და ენერგეტიკულ სექტორში შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო ზოგადი განათლება, ხოლო ჩარიცხვის პროცედურები გამჭვირვალეა და ითვალისწინებს სპეციალური საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერას. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (40 სტუდენტი) განსაზღვრა ეფუძნება შიდა მეთოდოლოგიას და შეესაბამება არსებულ მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს. პროგრამა შემუშავებულია „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (№07.24.1) მოთხოვნათა დაცვით, მოიცავს ყველა საჭირო კომპონენტს, ხოლო მისი სახელწოდება სრულად ასახავს მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამით არ არის გათვალისწინებული არჩევითი მოდულები.

დაწესებულება უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო გარემოებით (A, B და C). A/C გარემო (აუდიტორია №4) განკუთვნილია უშუალოდ „ელექტროობის“ ლაბორატორიისთვის, B გარემო (აუდიტორია №13) აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკითა და AutoCAD პროგრამით, ხოლო C გარემო გამოიყენება პირველადი დახმარების მოდულისთვის. პროგრამას სრულად უზრუნველყოფს 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც გარანტირებულს ხდის სასწავლო პროცესის მდგრადობას. პერსონალს გააჩნია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი ამავდროულად არის მოდულის განმახორციელებელი, ფლობს მდიდარ პედაგოგიურ გამოცდილებას და არის ციფრული სასწავლო რესურსების ავტორი. ბიბლიოთეკაში უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული წვდომა

სასწავლო ლიტერატურაზე. დაწესებულებას შექმნილი აქვს ადაპტირებული გარემო სსსმ პირებისთვის და გააჩნია მზაობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დასანერგად. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი და კოლეჯის საერთო ფინანსური მდგომარეობა ადასტურებს პროექტის ფინანსურ მდგრადობას.

კოლეჯში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების მრავალკომპონენტიანი სისტემა, რომელიც ითვალისწინებს შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, მასწავლებლები, დამსაქმებლები) უკუკავშირს. შემუშავებულია კვლევის ჩატარების სპეციალური სახელმძღვანელო. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს მიღებული მონაცემების სისტემატურ ანალიზს, რის საფუძველზეც იგეგმება და ხორციელდება პროგრამულ/მოდულურ ცვლილებები.

სასწავლო პროცესი წარიმართება დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და კალენდარული განრიგის შესაბამისად. კოლეჯი იჩენს მოქნილობას სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების მიმართ (გაცდენების აღდგენა, ინდივიდუალური გეგმები, წინარე განათლების აღიარება). სწავლებისას გამოიყენება თანამედროვე ინტერაქტიული მეთოდები, საინჟინრო პროგრამები და Zoom პლატფორმა (დისტანციური სწავლების ნაწილში, სადაც შეფასება ხორციელდება მხოლოდ ადგილზე). პრაქტიკული კომპონენტი უზრუნველყოფილია სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ გაფორმებული განახლებული ხელშეკრულებით, ხოლო სასწავლო გარემოში დაცულია ელექტროუსაფრთხოების სპეციალური ინსტრუქციები. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე; მოქმედებს ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მექანიზმები. შეფასების მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები – უვადოდ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა მოდულებთან („ელექტროსამონტაჟო სამუშაოები“ და „ელექტრონული წრედები“) დაკავშირებით, რომლებიც მოითხოვს C გარემოს. მან იკითხა, რამდენად უზრუნველყოფს არსებული აღჭურვილობა 40 სტუდენტზე (ორი 20-კაციანი ჯგუფი) სწავლის შედეგების სრულად მიღწევას და ხომ არ არის საჭირო პრაქტიკის ობიექტის დამატება. ავტორიზაციის ექსპერტმა, შორენა ალაგარდაშვილმა, განმარტა, რომ დარგის ექსპერტმა დეტალურად შეისწავლა მატერიალური ბაზა. ყველა საჭირო აღჭურვილობა და ინსტრუმენტი ადგილზეა, შრომის უსაფრთხოების ნორმები გაწერილი და დაცულია, ხოლო C გარემო სრულად შეესაბამება სტანდარტს პრაქტიკული სამუშაოების განსახორციელებლად. პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კოლეჯში სასწავლო პროცესი აგებულია კომპიუტერულ სიმულაციურ/სადიაგნოსტიკო პროგრამებსა (ბრიტანული და გერმანული ანალოგები) და უშუალოდ აწყობილ სადიაგნოსტიკო სტენდებზე. აღნიშნული რესურსების ერთობლიობა სტუდენტს აძლევს ხარვეზების აღმოჩენისა და პრაქტიკული უნარების ათვისების სრულ შესაძლებლობას. მან ასევე აღნიშნა, რომ საწარმოო პრაქტიკისას ხშირად იქმნება ბარიერები საწარმოთა მხრიდან, ხოლო კოლეჯის ბაზაზე არსებული მოდელი გაცილებით ეფექტურად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების დადასტურებას. საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, დააფიქსირა პოზიცია, რომ პრაქტიკის ობიექტის თანამონაწილეობა მაინც მნიშვნელოვანი კომპონენტია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, მიუთითა ექსპერტთა დასკვნაში ასახულ ფაქტზე, რომლის მიხედვითაც პრაქტიკის პარტნიორთან არსებულ ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა და აღნიშნული ხარვეზი მხოლოდ

ექსპერტთა ვიზიტისას, ადგილზე დაკორექტირდა. თავმჯდომარემ იკითხა, ხომ არ მიუთითებს აღნიშნული ფაქტი კოლეჯის იურიდიული და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების პრევენციული კონტროლის სისუსტეზე. ავტორიზაციის ექსპერტმა, შორენა ალაგარდაშვილმა, დაადასტურა, რომ დოკუმენტის დაკორექტირება მოხდა ვიზიტის მიმდინარეობისას, მას შემდეგ, რაც ექსპერტებმა იკითხეს შესაბამისი დანართის არსებობის შესახებ. დაწესებულების იურისტმა, განმარტა, რომ აღნიშნული გამოწვეული იყო ტექნიკური შეცდომითა და გადატვირთული სამუშაო რეჟიმით. პარტნიორმა ორგანიზაციამ („ენერგო-პრო ჯორჯია“) მოითხოვა სტანდარტული ხელშეკრულების ტექსტში ცვლილებების შეტანა, რა დროსაც მექანიკურად გამორჩათ ერთჯერადად მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის მითითება. იურისტმა აღნიშნა, რომ ხარვეზი ოპერატიულად აღმოფხვრეს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ხაზი გაუსვა, რომ გამოცდილმა დაწესებულებამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ხელშეკრულებების შინაარსობრივ მხარესა და შიდა ხარისხის კონტროლს.

ელენე კაკაბაძემ, ითხოვა განმარტება დასკვნაში არსებულ ჩანაწერთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნული იყო, რომ კოლეჯს ჯერ არცერთი მოქმედი პროგრამის ხარისხის შეფასების ციკლი არ დაუსრულებია, ვინაიდან ელოდება 12–36 თვიან კვლევებს. თავმჯდომარემ იკითხა, თუ რაზე დაყრდნობით დარწმუნდა ექსპერტთა ჯგუფი შიდა ხარისხის მექანიზმების რეალურ ფუნქციონირებაში. ექსპერტმა შორენა ალაგარდაშვილმა განმარტა, რომ საუბარი იყო ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროგრამის შეფასების ცხრილზე (EQAVET-ის ინდიკატორებით), რომელიც დაწესებულებამ 2024 წლიდან დანერგა და რომლის სრული ციკლის დახურვაც (36 თვე) ჯერ არ მომხდარიყო. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სხვა პროგრამაზე („საფინანსო სერვისები“) შეფასების ციკლი და 12-თვიანი კურსდამთავრებულთა კვლევა დასრულებულია, თუმცა აღნიშნული დოკუმენტაცია ექსპერტებისთვის ვიზიტის დროს არ წარუდგენიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ორიენტირისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ორიენტირს (ს/კ: 200011904) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ **(დანართი 2).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 6 აგვისტო.

საბჭოს წევრმა ეკატერინე გიგაშვილმა დატოვა სხდომა.

მეოთხე საკითხი: შპს პროფესიული კოლეჯი მენტორის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვალერი ჯაჯანიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 22 აპრილის N464425 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს ,,პროფესიულ კოლეჯ მენტორი" – ს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლით განსაზღვრული პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 05-07 მაისს მისამართზე: ქ. თბილისი ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №4. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ,,ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, დებულებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, კოლეჯის შენობა-ნაგებობების, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსის, სტუდენტური სერვისების და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული

საკითხების შესწავლა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი.

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

5.1.1.1 კოლეჯის საკუთრებაში არაა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭირო სივრცე, ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.2.1 დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების გეგმით განსაზღვრულ ვადაში შესრულება.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

5.1.2.2 განმავითარებელი რეკომენდაცია – დაზუსტდეს რეგულაციაში ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები'' არსებული ჩანაწერი მედიკამენტების შესახებ, ისე რომ იკითხებოდეს ცალსახად და არა ორაზროვნად.

2.4.1.2 განმავითარებელი რეკომენდაცია – მიზანშეწონილია დაწესებულებამ მოახდინოს მოქმედი რეგულაციების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" და ,,სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის მექანიზმები" ოპტიმიზაცია, რომ აღმოიფხვრას თემატური გამეორებები და გადაფარვები;

2.4.2.2 განმავითარებელი რეკომენდაცია – მიზანშეწონილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სრულფასოვნად წარმართვის მიზნით დაწესებულების რეგულაციაში მკაფიოდ გაიწეროს რისკების სისტემა.

აღინიშნა, რომ 2026 წლის 23 ივლისს დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლითაც გაიზიარა განმავითარებელი რეკომენდაციები. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია უცვლელი დარჩა შემდეგ საკითხებზე: სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია **5.1.2.1** – მიუხედავად ჰიდრანტის ფოტო-მტკიცებულებების წარმოდგენისა, კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის №2602-901 ბრძანებით დამტკიცებული „შესაბამისობის გეგმის" მიხედვით, არ არის შესრულებული სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ყველა აქტივობა, კერძოდ – შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის საბოლოო დადგენა. გამოვლენილი ხარვეზი **5.1.1.1** – პირველი სართულის იჯარისა და სპორტდარბაზთან დადებული პრაქტიკის ხელშეკრულების მიუხედავად, ხარვეზი არ აღმოფხვრილა. მე-7 სართულზე არსებული საერთო სივრცეები (ფოიე, დერეფანი, სველი წერტილები) კვლავ საერთოა სხვა ორგანიზაციებისთვის, რაც საფრთხეს უქმნის 126 სტუდენტისა და პერსონალის უსაფრთხოებას, ზღუდავს ექსტრაკურიკულურ აქტივობებს, ქმნის ხმაურს და ამცირებს სველი წერტილების გამტარუნარიანობას. გარდა ამისა, სპორტდარბაზი არ ექვემდებარება კოლეჯის სტრუქტურას.

პირველ სტანდარტზე საუბრისას ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სრულად აქვს გააზრებული საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში. შპს პროფესიული კოლეჯი „მენტორი" წარმოადგენს კერძო, მონოპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის მისიაა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების სფეროში საერთაშორისო სტანდარტებისა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების გზით. კოლეჯის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების ეროვნულ მიზნებსა და პრიორიტეტებს, ორიენტირებულია შრომის ბაზრის კონკრეტული სეგმენტისთვის კონკურენტუნარიანი

კადრების მომზადებასა და უწყვეტი განათლების უზრუნველყოფაზე. დაწესებულების მისიიდან გამომდინარეობს მისი ხედვა – იყოს მოთხოვნადი საგანმანათლებლო დაწესებულება აღნიშნული მიმართულებით, ხოლო ღირებულებები მოიცავს პროფესიულ და სოციალურ პასუხისმგებლობას, თანასწორობას, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის, ასევე გარემო ეკოსისტემის დაცვას. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება, გაზიარება და საჯაროობა დარეგულირებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 06 მარტის №2603-302 ბრძანებით დამტკიცებული წესით. დოკუმენტაციისა და გასაუბრებების ანალიზმა დაადასტურა, რომ სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესი მიმდინარეობდა შიდა მეთოდოლოგიით, სადაც აქტიურად იყვნენ ჩართულნი სტუდენტები, პერსონალი, დამსაქმებლები და პარტნიორი ორგანიზაციები. მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე, პროფესიული პროგრამების კატალოგში, სტრატეგიულ გეგმასა და ფიზიკურად კოლეჯის ფოიეში.

ექსპერტმა ხაზი გაუსვა დაწესებულებაში დანერგილ დაგეგმვის ეფექტიან პრაქტიკას. კოლეჯი ხელმძღვანელობს ზემოაღნიშნული მარეგულირებელი წესით, რომლითაც განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცედურები, ხოლო პროცესს სათავეში უდგას დირექტორის 2026 წლის 17 აპრილის №2604-801 ბრძანებით შექმნილი სტრატეგიული დაგეგმვის კომისია. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2026 წლის 15 მარტის №2603-303 ბრძანებით დამტკიცებული 2026-2033 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2026 წლის 15 აპრილის №2603-303 ბრძანებით დამტკიცებული 2026-2027 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული დაგეგმარება განხორციელდა თანამონაწილეობითი პრინციპით, რასაც ადასტურებს 2026 წლის 20 აპრილის №2604-901 კომისიის სხდომის ოქმი, მიმოწერები და სამუშაო შეხვედრების მტკიცებულებები შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან. სტრატეგიული გეგმა ეფუძნება SWOT ანალიზს და მოიცავს ოთხ ძირითად მიზანს: შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი პროგრამების უზრუნველყოფას; ეფექტიანი ადმინისტრაციული მართვისა და პერსონალის განვითარების გარემოს შექმნას; სტუდენტთა წარმატებული ინტეგრაციისა და სერვისების მხარდაჭერას; კოლეჯის რეპუტაციის, ცნობადობისა და საერთაშორისო ინტეგრაციის გაზრდას. სამოქმედო გეგმაში დეტალურად არის გაწერილი ამოცანები, აქტივობები, განხორციელების ვადები, გაზომვადი ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო მატერიალურ-ფინანსური რესურსები. აღნიშნულ კრიტერიუმზე ექსპერტის შეფასებაა „შეესაბამება“.

კოლეჯში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების გამართული სისტემა. შიდა რეგულაციის შესაბამისად, მონიტორინგი ხორციელდება კომისიური წესით: სამოქმედო გეგმისთვის – 6 თვეში ერთხელ, ხოლო სტრატეგიული გეგმისთვის – 3.5 წელიწადში ერთხელ. ინდიკატორების შეფასებასა და მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ხოლო აქტივობების შესრულება ფასდება სამი სტატუსით (არ შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, შესრულდა). დაწესებულებას უკვე შემუშავებული აქვს შესაბამისი ანგარიშგების ფორმები. შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმი ითვალისწინებს მონაცემთა ანალიზს კოლეჯის დირექტორის მიერ, რის საფუძველზეც საჭიროებისამებრ ხორციელდება გეგმების კორექტირება, ვადების ცვლილება ან აქტივობების დამატება/ამოღება. ამასთანავე, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები სრულიად საჯაროა და დამტკიცებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში ყოველწლიურად თავსდება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე.

პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

მესამე სტანდარტთან დაკავშრებით აღინიშნა, რომ დაწესებულებაში სრულად არის უზრუნველყოფილი სტუდენტთა უფლებები და კანონიერი ინტერესები. კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 05 აპრილის №2604-407 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დეტალურად განსაზღვრავს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, განათლების აღიარების, შიდა და გარე მობილობისა და პროგრამის გაუქმების/შეცვლის შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის გარანტიებს. ამავე რეგულაციით სტუდენტებს გარანტირებული აქვთ წვდომა კოლეჯის ინფრასტრუქტურასა და სპეციალურად გამოყოფილ სივრცეებზე. გარდა ამისა, დირექტორის 2026 წლის 06 მარტის ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი“ უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობასა და საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული მასალების ადაპტირებას (მაგ. აუდიო ფაილები, გაზრდილი შრიფტი), სადაც სტუდენტებს მხარდაჭერას ბიბლიოთეკარი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი უწევენ.
სტუდენტების ინფორმირება მათი უფლებებისა და მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ ხორციელდება სწავლის დაწყების პირველივე დღეს, დირექტორის 2026 წლის 06 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებული სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის მექანიზმების დოკუმენტის შესაბამისად, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის, ადმინისტრაციისა და პედაგოგების მონაწილეობით. რაც შეეხება შეფასების სისტემასა და გასაჩივრებას, სტუდენტს შეფასების შედეგი ეცნობება 5 დღის ვადაში, ხოლო უკმაყოფილების შემთხვევაში მას აქვს 2 სამუშაო დღე დირექტორისადმი მიმართვისთვის. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს 3 კალენდარულ დღეში. ასევე გათვალისწინებულია დამატებით შეფასებაზე ერთჯერადად გასვლის უფლება (წინაპირობა მოდულისთვის 2 კვირის ვადაში, ხოლო სხვა მოდულებისთვის 8 კალენდარულ დღეში). საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებები სრულად იცავს სტუდენტთა ინტერესებს, ხოლო არასრულწლოვნების შემთხვევაში ფორმდება მათ კანონიერ წარმომადგენლებთან. ამასთან, ობიექტური საჭიროებისას (მობილობა, სტატუსის აღდგენა, სსსმ სტატუსი), ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მუშავდება და ხორციელდება უშუალოდ სტუდენტისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით. აღნიშნულ კომპონენტზე ექსპერტის შეფასება გახლავთ „შეესაბამება“.

კოლეჯში მოქმედებს აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მოქნილი სისტემა. აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ მასწავლებელთა ინდივიდუალური კონსულტაციებით, ხოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი პერიოდულად ატარებს ჯგუფურ შეხვედრებს საჭიროებების გამოვლენისა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვისთვის. ადმინისტრაციული მხარდაჭერის ფარგლებში, სტუდენტის მიმართვაზე შეხვედრა ინიშნება 2 დღეში, საკითხის გადაწყვეტა ხდება 5 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ცნობის გაცემა – 2 სამუშაო დღეში.
კოლეჯი აქტიურად უჭერს მხარს არაფორმალურ აქტივობებსა და სტუდენტურ ინიციატივებს, რისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი ფინანსური რესურსი. საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ საპროექტო განაცხადებსა და ბიუჯეტს განიხილავს დროებითი კომისია დირექტორის ხელმძღვანელობით, ხოლო უარის შემთხვევაში ავტორს 3 სამუშაო დღეში წარედგინება არგუმენტირებული დასაბუთება. მომსახურების მუდმივი გაუმჯობესება ეფუძნება სტუდენტთა უკუკავშირს, რაც გაწერილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მე-4 მიზანში (ინფრასტრუქტურისა და სტუდენტური სერვისების განვითარება) და ხარისხის მართვის შიდა მექანიზმებში (ბრძანება №2602-324, 11.02.2026). აღნიშნული ქვეკომპონენტი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

კარიერული განვითარებისა და დასაქმების სერვისები თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც არსებული, ისე პოტენციური სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები (დადგენილი დირექტორის 2026 წლის 06 თებერვლის №2602-312 ბრძანებით) მოიცავს შრომის ბაზრის დინამიკის გაცნობას, თემატური შეხვედრებისა და დასაქმების ფორუმების ორგანიზებას, დამსაქმებლებსა და სტუდენტებს შორის კავშირის დამყარებას, ასევე სსსმ და შშმ სტუდენტების დასაქმების განსაკუთრებულ ხელშეწყობას.

კარიერული მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით, ხარისხის მართვის შიდა მექანიზმების შესაბამისად, კოლეჯი სპეციალური კითხვარების მეშვეობით პერიოდულად ატარებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებისა და დამსაქმებელთა კვლევას. მიღებული უკუკავშირისა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები, იდენტიფიცირდება ძლიერი და სუსტი მხარეები და იგეგმება კონკრეტული ნაბიჯები კარიერული მომსახურების შემდგომი სრულყოფისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შეფასების საფუძველზე, სტანდარტის ყველა კომპონენტსა და ქვეკომპონენტზე გაიცა დადებითი შეფასება – „შეესაბამება“.

მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ შპს „პროფესიული კოლეჯი მენტორში“ ადამიანური რესურსების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და პერსონალის მართვის პოლიტიკა სრულად უზრუნველყოფს დასახული მიზნების ეფექტიან მიღწევასა და დაწესებულების მდგრად განვითარებას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტი შეფასდა დადებითად – „შეესაბამება“.

კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურა გამართულია, რაც დასტურდება დირექტორის 2026 წლის 06 მარტის ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურისა და 2026 წლის 06 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტებით. კოლეჯში დასაქმებულია 19 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები, დაქვემდებარება, ანგარიშვალდებულება და კოორდინაციის მექანიზმები მკაფიოდ არის განსაზღვრული და არ შეიცავს დუბლირებას. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი საქმიანობას წარმართავს PDCA ციკლით და მისი ფუნქციები სრულად გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან. ამ ნაწილში, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა მხოლოდ ერთი ზეპირსიტყვიერი რეკომენდაცია, რაც შეეხებოდა ფინანსური მენეჯერისა და ექთნის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში სავალდებულო განათლების დოკუმენტაციის მოთხოვნის ტექსტობრივ კონკრეტიზაციას, თუმცა აღინიშნა, რომ აღნიშნულ პოზიციებზე დასაქმებულ პირთა პირად საქმეებში არსებული განათლების დოკუმენტები სრულად შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობებს.

პერსონალის მართვის პოლიტიკის მიმოხილვისას ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროცესები მიმდინარეობს საქართველოს შრომის კანონმდებლობისა და შინაგანაწესის სრული დაცვით. პერსონალის შერჩევა ეფუძნება სამართლიანობის, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს: სასწავლო პერსონალის მიღება ხდება მხოლოდ ღია კონკურსით, ხოლო ადმინისტრაციული კადრების – დანიშვნით, როტაციით, რეკომენდაციით ან კონკურსით. ყველა თანამშრომლის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ პოზიციას, ხოლო პირად საქმეებში წარმოდგენილია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები. კოლეჯის კორპორატიული კულტურა ეფუძნება გუნდურ, მონაწილეობით მუშაობასა და კოლეგიალობას.

რომ კოლეჯში მოქმედებს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემა. სასწავლო წლის დასაწყისში თანამშრომლები ადგენენ ინდივიდუალურ პროფესიულ გეგმას, სადაც ასახავენ თავიანთ მიზნებს, გაუმჯობესების პრიორიტეტებსა და საჭიროებებს. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელთა კარიერულ წინსვლასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც ასახულია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში და მოიცავს როგორც შიდა, ისე ტრენინგებსა და სემინარებს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას, რაც მოიცავს საორიენტაციო შეხვედრას, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, სამუშაო სივრცისა და ინფრასტრუქტურის გაცნობას, ასევე პირველი ექვსი კვირის განმავლობაში უშუალო ხელმძღვანელისა და დირექტორის მოადგილის მხრიდან მუდმივ მხარდაჭერასა და კონსულტირებას. გარდა ამისა, კოლეჯში წახალისებულია პერსონალის განვითარებაზე მიმართული ინიციატივები, რომელთა დაფინანსებაც შესაძლებელია სარეზერვო ფონდიდან. სანიმუშო საქმიანობისა და განსაკუთრებული დამსახურებისთვის გამოიყენება წახალისების სხვადასხვა ფორმა (მადლობა, სიგელი, პრემია, ფასიანი საჩუქარი).

მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯს იჯარის ხელშეკრულებით (2033 წლის 09 თებერვლამდე) გადაცემული აქვს 619.93 მ² ფართობი ქ. თბილისში, ა. პოლიტკოვსკაიას №4-ში (მე-7 სართულზე). შენობაში მოწყობილია სასწავლო აუდიტორიები (AC, A, AB გარემოებები), ბიბლიოთეკა, სამედიცინო კუთხე, ადმინისტრაციული და პედაგოგთა სივრცეები, არქივი და სარეკრეაციო ზონა, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით. ასევე უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობა, შრომის უსაფრთხოება (შესაბამისი სპეციალისტით, საევაკუაციო გეგმებითა და „112“ ნიშნებით), პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები (ექთნითა და შესაბამისი აღჭურვილობით), საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (შეთანხმებული შსს-სთან) და 24-საათიანი ვიდეო-მეთვალყურეობა. ბიბლიოთეკაში უზრუნველყოფილია ციფრული რესურსები და წვდომა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან“.

ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა ხარვეზი. კერძოდ, შენობის მე-7 სართულის სრული ფართობია 754.00 მ², საიდანაც 134.07 მ² ფართობზე განთავსებულია სხვა კერძო ორგანიზაციები (სპორტდარბაზი, გასახდელები, მასაჟის ცენტრი). შესაბამისად, კოლეჯის საკუთრებაში/მფლობელობაში არ არის საერთო სარგებლობის სივრცეები (ფოიე, დერეფანი, სანიტარულ-ჰიგიენური კვანძები) და ისინი საერთოა მე-7 სართულზე არსებული ყველა ორგანიზაციისთვის. ექსპერტის შეფასებით, ეს გარემოება იწვევს სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოების რისკებს, ზღუდავს ექსტრაკურიკულურ აქტივობებს, ქმნის ხმაურის საფრთხეს სასწავლო პროცესში და მკვეთრად ამცირებს სველი წერტილების გამტარუნარიანობას (126 სტუდენტი პლუს სხვა ორგანიზაციების ნაკადები). დამატებით, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისთვის აუცილებელი წყლის ჰიდრანტი ამ ეტაპზე მოწყობილი არ არის, რაზეც წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა და მერიაში შეტანილი განაცხადი. აღნიშნული ინფრასტრუქტურული ხარვეზის გამო, 5.1 კომპონენტზე გაიცა უარყოფითი შეფასება – „არ შეესაბამება“. ამასთან, პირველადი დახმარების რეგულაციასთან დაკავშირებით გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია მედიკამენტების მართვის ტექსტის დაზუსტების შესახებ.

5.2 კომპონენტის „საინფორმაციო რესურსები“ განხილვისას ექსპერტმა დაადასტურა, რომ კოლეჯის IT ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ საჭიროებებს. დაწესებულებას ჰყავს IT მენეჯერი, მოქმედებს „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები“, უზრუნველყოფილია ინტერნეტი (შპს „მეტრონეტი“), რეგისტრირებულია დომენი (mentorcollege.ge) და დისტანციური

სწავლებისთვის მომზადებულია Google Workspace for Education პლატფორმა. პერსონალურ მონაცემთა დაცვა დარეგულირებულია შიდა წესითა და 7-წლიანი მომსახურების ხელშეკრულებით.

საქმისწარმოება ხორციელდება „საქმისწარმოების წესის“ შესაბამისად, ცენტრალიზებული პრინციპით. კოლეჯს უზრუნველყოფილი აქვს წვდომა პროფესიული დაწესებულებების მართვის სისტემაზე (e-vet.emis.ge) და ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაზე (eflow) საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. საზოგადოებასთან ურთიერთობა მიზანმიმართულად წარმართება ოფიციალური ვებგვერდისა და Facebook გვერდის მეშვეობით, სადაც განთავსებულია სანდო ინფორმაცია, სტრატეგიული დოკუმენტები და პროფესიული პროგრამების კატალოგი. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი უზრუნველყოფს გავრცელებული ინფორმაციის უტყუარობასა და უკუკავშირის დამუშავებას. აღნიშნულ კომპონენტი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5.3 „ფინანსური რესურსები“ მიმოხილვისას ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯი ფინანსურად მდგრადია. წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს როგორც პროგრამულ და ვაუჩერულ შემოსავლებს, ისე საოპერაციო ხარჯების (ხელფასები, იჯარა, კომუნალურები, სასწავლო მასალები) სრულ დაფარვას. ვინაიდან დაწესებულება ახლად ჩამოყალიბებულია და ჯერ არ გააჩნია ავტორიზებული კოლეჯის სტატუსი, წარსული ფინანსური შეფასების პრაქტიკა არ არსებობს, თუმცა გასაუბრებით დადასტურდა მზაობა მომავალში ფინანსური აუდიტის განხორციელებასა და შესაბამის რეაგირებაზე. აღნიშნულ კომპონენტზეც გაიცა დადებითი შეფასება – „შეესაბამება“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (დეტალური სფეროს კოდი: 0712) შეესაბამება მეხუთე დონეს, იგი შემუშავებულია ქართულ ენაზე და მისი დამტკიცება განხორციელდა კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 11 მარტის №2603-503 ბრძანებით. საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა დაგეგმილია ქალაქ თბილისში, ა. პოლიტკოვსკაიას №4-ში (მე-7 სართული), რეალურ სამუშაო გარემოში – კოოპერაციული სწავლების ფორმით. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 126-ს, ხოლო პროგრამა არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, პროგრამის კრედიტების მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 120 კრედიტს (სავარაუდო ხანგრძლივობა 81 სასწავლო კვირა), ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 150 კრედიტს (სავარაუდო ხანგრძლივობა 103 სასწავლო კვირა). ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად არის გაზიარებული და დადასტურებული სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის დასაბუთებულობა.

პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება სრულ თანხვედრაშია კოლეჯის მისიასთან, სტრატეგიულ განვითარებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, სადაც საკანონმდებლო რეგულაციებიდან გამომდინარე აღნიშნული მიმართულების სპეციალისტებზე მაღალი და მზარდი მოთხოვნა იკვეთება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და ჩარიცხვა ხორციელდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ტესტირებისა და შიდა შერჩევის საფუძველზე. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (126 სტუდენტი, გადანაწილებული 6 ჯგუფზე – თითოში 21 სტუდენტი) დათვლილია შესაბამისი მეთოდოლოგიით, სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობის, ადამიანური რესურსისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან არსებული ადგილების გათვალისწინებით.

ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, მათ შორის დისტანციური სწავლების კომპონენტების განხორციელებასა და ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე წვდომას. პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს, მისი სახელწოდება შეესაბამება შინაარსსა და ჩარჩო დოკუმენტს, ხოლო შემუშავებისა და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცების პროცედურები სრულად პასუხობს მოქმედ კანონმდებლობას.

რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსს, დაწესებულება ფლობს შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას (AB, A და AC სასწავლო გარემოები) და გაფორმებული აქვს 7-წლიანი თანამშრომლობის ხელშეკრულებები 9 პარტნიორ ორგანიზაციასთან (მათ შორის შპს „კონსოლი“, შპს „ინოვა“, შპს „ჯანმრთელობის სახლი“ და სხვა), რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების მიღებას საწარმოო პრაქტიკაზე უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით. პროგრამას ახორციელებს 20 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი (5 ზოგადი და 15 პროფესიული მოდულის), რომელთა დატვირთვაც არ აღემატება კვირაში 40 საათს და უზრუნველყოფს პროცესის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეულია დარგობრივი და მენეჯერული გამოცდილების მქონე მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წვდომას ელექტრონულ რესურსებსა და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ბაზაზე. გარდა ამისა, მარეგულირებელი წესით გარანტირებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირებისთვის, ხოლო საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც დათვლილია 10-სტუდენტიან რენტაბელობის ზღვარზე, სრულად უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებით ითქვა, რომ კოლეჯში მოქმედებს პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს შრომის ბაზრის ანალიზსა და დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, პერსონალი, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები) უკუკავშირს. ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო წლის ბოლოს მოამზადებს შეფასების ანგარიშს და გასცემს რეკომენდაციებს პროგრამის სრულყოფისთვის.

რაც შეეხება სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დამტკიცებული გეგმის, თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სტუდენტთა სტატუსის მართვა, მობილობა და განათლების აღიარება რეგულირდება შიდა წესებით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია მოქმედი დოკუმენტაციის („სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და „სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის მექანიზმები“) ოპტიმიზაციისა და დუბლირების აღმოფხვრის თაობაზე. სტუდენტთა შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური; მოქმედებს ვერიფიკაციის მექანიზმი სამი მიმართულებით (პროცესი, ინსტრუმენტები, მტკიცებულებები), სადაც ექსპერტებმა ასევე გასცეს განმავითარებელი რეკომენდაცია რისკების სისტემის უფრო მკაფიოდ გაწერის შესახებ. შეფასების მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით, უწყისები – უვადოდ, ხოლო შეფასების შედეგები აქტიურად იქნება გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისა და სასწავლო პროცესის დახვეწისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, იკითხა საავარიო გასასვლელის მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სქემის მიხედვით შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს საავარიო

გასასვლელი დაკეტილი იყო. ავტორიზაციის ექსპერტმა, ვალერი ჯაჯანიძემ, დააზუსტა, რომ აღნიშნული სივრცე არ წარმოადგენს კოლეჯის ექსკლუზიურ ფართს, არის საერთო სარგებლობის სივრცე, საავარიო გასასვლელი ღიაა და ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე შემოწმებისას პირადად ისარგებლა აღნიშნული კიბეებით.

გოჩა გოგიტიძემ ითხოვა დამატებითი ინფორმაცია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ, კერძოდ, ინდივიდუალურ მეწარმე დიმიტრი აბაშიძესთან გაფორმებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით, სადაც ბუნდოვანი იყო საქმიანობის პროფილი და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების სპეციფიკა.

დარგის ექსპერტმა, ხათუნა ჩომახიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა მაღალი და საშუალო რისკის შემცველი ორი ობიექტი (სამშენებლო ობიექტი „კონსოლი“ და კვების ობიექტი). დათვალიერებულ ობიექტებზე უსაფრთხოების სტანდარტები დაცული იყო. სამშენებლო ობიექტის წარმომადგენელმა ამომწურავად განმარტა სტუდენტთა ინსტრუქტაჟის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფისა და 21-კაციანი ჯგუფებისთვის რისკების შეფასების პროცედურები. დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული აქვს 7-წლიანი ვადის მქონე ორმხრივი ხელშეკრულებები. დაწესებულების დირექტორმა, მარიამ ქადარიამ, განმარტა, რომ ინდმეწარმე დიმიტრი აბაშიძე ახორციელებს საქმიანობას სავაჭრო ნიშნით „ბუენო“ (კაფე/კვების ობიექტი აღმაშენებლის ხეივანზე). ობიექტი უზრუნველყოფს საკვებისა და ცომეულის მომზადებას და გააჩნია საკმარისი სივრცე სტუდენტთა პრაქტიკული უნარების ასათვისებლად. ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტები როტაციის პრინციპით გაივლიან პრაქტიკას 9 სხვადასხვა ობიექტზე (მათ შორის მძიმე მრეწველობის, მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში).

გოჩა გოგიტიძემ იკითხა, რამდენად ვრცელდება შენობის საგანგებო სიტუაციების გეგმა იმავე შენობის (ბიზნესცენტრი, სადაც კოლეჯს უკავია მე-7 სართული) სხვა სართულებზე განთავსებულ ორგანიზაციებზე. მარიამ ქადარიამ განმარტა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული ევაკუაციის გეგმა მოიცავს მთელ შენობას. კოლეჯი გეგმავს ბიზნესცენტრის ადმინისტრაციასთან ერთად 6 თვეში ერთხელ განახორციელოს შენობის სრული იმიტირებული ევაკუაცია (მთავრობის №370 დადგენილების შესაბამისად). ასევე, ყოველდღიურად მოწმდება მეორე (სათადარიგო) კიბის უჯრედი, რათა არ მოხდეს მისი საწყობად გამოყენება და ჩახერგვა.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, იკითხა კოლეჯის კონკურენტულ უპირატესობასა და რისკების მართვაზე, იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯი არის მონოპროფილური და ბაზარზე შრომის უსაფრთხოების მრავალი პროგრამა ხორციელდება. მარიამ ქადარიამ აღნიშნა, რომ კოლეჯის მთავარი ღირებულებაა პრაქტიკოსი სპეციალისტებისა და შრომის ინსპექციის ყოფილი ინსპექტორებისგან შემშრალი გუნდი, სწავლების 100%-ით პრაქტიკაზე დაფუძნებული მეთოდოლოგია, პრაქტიკული დავალებების რეალურ ობიექტებზე გატანა და დარგობრივი მასწავლებლები (მძიმე მრეწველობა, ქიმიური წარმოება, ჯანდაცვა).

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული ნიშა (მოქმედი/ყოფილი ინსპექტორები და პრაქტიკოსები) უნიკალური არ არის და ანალოგიური რესურსი სხვა კოლეჯებსაც გააჩნიათ. თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოს არ აქვს პრეტენზია პროგრამის შინაარსთან, პერსონალსა თუ დირექტორთან, არამედ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური სტანდარტების დაუკმაყოფილებლობა, რაც განსაკუთრებით კრიტიკულია პირველადი ავტორიზაციის დროს.

ელენე კაკაბაძემ დასვა შეკითხვა, გააჩნია თუ არა კოლეჯს დღეის მდგომარეობით ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული იზოლირებული სველი წერტილები და კონტროლირებადი შესასვლელი. მარიამ ქადარიამ განმარტა, რომ ექსპერტთა დასკვნის მიღების შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. კერძოდ, პირველ სართულზე არსებული საერთო სარგებლობის იჯარის ხელშეკრულების ნაცვლად, დადეს ახალი ხელშეკრულება პირველი სართულის მთლიან ფლიგელზე (7 წლის ვადით), სადაც განთავსებულია იზოლირებული სველი წერტილები (ქალების, მამაკაცების და შშმ პირთათვის) და რკინის კარით გამოყოფილი სივრცე. მარიამ ქადარიამ აღნიშნა, რომ 126 სტუდენტიდან ადგილზე (C-გარემოში) ერთდროულად იმყოფება მხოლოდ 21 სტუდენტი, დანარჩენი მოდულები ხორციელდება დისტანციურად ან პრაქტიკის ობიექტებზე. გარდა ამისა, მე-7 სართულზე, ადმინისტრაციის ფართში არის დამატებითი საპირფარეშო, რომელსაც საჭიროებისას სტუდენტებიც გამოიყენებენ. ასევე, იგეგმება ტურნიკეტების დაყენება და კორიდორში ცოცხალი დაცვის პოსტის განთავსება.

ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მოდელი არარეალურია. ბიზნესცენტრის დერეფანში სხვა მოიჯარეებსაც აქვთ თანაბარი უფლებები და კოლეჯის დაცვა ვერ აუკრძალავს უცხო პირებს გადაადგილებას ან საუბარს. შესაბამისად, სტუდენტთა ნაკადების უცხო პირებისგან იზოლირება და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა უზრუნველყოფილი არ არის.

ელენე კაკაბაძემ ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულებას არ გააჩნია სახანძრო უსაფრთხოების საბოლოო დადებითი დასკვნა, რაც პირდაპირ საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. მარიამ ქადარიამ განმარტა, რომ ზოგადი სახანძრო დასკვნა არსებობს, ხოლო პრობლემა უკავშირდება გარე სახანძრო ჰიდრანტის დამონტაჟებას, რაც საკანონმდებლო ცვლილებით გახდა სავალდებულო. მეიჯარეს გაგზავნილი აქვს მოთხოვნა GWP-ში, ჰიდრანტი უკვე დამონტაჟდა ქუჩაში და ახალი დასკვნის მისაღებად მცირე დროა საჭირო. ელენე კაკაბაძემ მიუთითა, რომ ჰიდრანტის მოთხოვნა კანონმდებლობაში მოქმედებს 2025 წლიდან და ავტორიზაციაზე განაცხადის შემოტანამდე დაწესებულებას ეს საკითხი მოწესრიგებული უნდა ჰქონოდა. ავტორიზაციის საბჭო ეყრდნობა ოფიციალურ დოკუმენტაციას და არა სამომავლო დაპირებებს. პირველადი ავტორიზაციისას სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებული უნდა იყოს დოკუმენტურ დონეზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, მიმართა ექსპერტთა ჯგუფს საბოლოო პოზიციის დაფიქსირების თხოვნით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და წევრებმა დაადასტურეს, რომ რჩებიან პირველად პოზიციაზე და არ იზიარებენ დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციასა და შესაბამისობის გეგმას. ხარვეზები რჩება ძალაში.

ნათია ბუთხუზმა ეჭვქვეშ დააყენა მაღალი რისკის შემცველი შრომის უსაფრთხოების პროგრამის დისტანციურ/ჰიბრიდულ რეჟიმში ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობა, განსაკუთრებით რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტების პრაქტიკის ობიექტებზე მართვისა და 21-კაციანი ჯგუფების უსაფრთხოების მეთვალყურეობის კუთხით. მარიამ ქადარიამ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ დისტანციურად ტარდება მხოლოდ თეორიული მოდულები (რისი უფლებასაც ჩარჩო დოკუმენტი იძლევა), ხოლო პრაქტიკული კომპონენტი სრულად ხორციელდება C-გარემოსა და პრაქტიკის ობიექტებზე.

გოჩა გოგიტიძემ დასვა კითხვა: ითხოვს თუ არა კოლეჯი 6 ჯგუფის (126 სტუდენტის) ერთდროულად მიღებას და როგორ განაწილდებიან ისინი 1 C-გარემოში. მარიამ ქადარიამ უპასუხა, რომ C-გარემო სჭირდება მცირე რაოდენობის მოდულებს. ჯგუფები გადანაწილდებიან ორ ცვლაში და კვირის სხვადასხვა დღეებში, შესაბამისად, 1 C-გარემო და

პრაქტიკის ობიექტები სრულად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. ვალერი ჯაჯანიძემაც დაადასტურა, რომ სასწავლო გეგმის მიხედვით C-გარემოს საათობრივი დატვირთვა გათვლილი იყო.

საბჭოს წევრები გავიდნენ სათათბირო ოთახში.
თათბირის დაწყება – 15:55
თათბირის დასრულება – 16:08

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზის, საბჭოს სხდომაზე გამართული დისკუსიისა და საბჭოს წევრებს შორის საკითხის განხილვის საფუძველზე, საბჭომ მიიჩნია, რომ გამოვლენილი გარემოება ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და პროფესიული განათლების ავტორიზაციის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, წარმოადგინა საბჭოს პოზიცია. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და პროფესიული განათლების ავტორიზაციის დებულების თანახმად, პირველადი ავტორიზაციის პროცესში მტკიცების ტვირთი სრულად ეკისრება განმცხადებელს. დაწესებულება ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზევე, უპირობოდ დაადასტუროს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა საბჭოს მიერ საქმის გარემოებების გამოკვლევით დადასტურებულ ორ კრიტიკულ შეუსაბამობაზე:

ინფრასტრუქტურული უსაფრთხოება (კომპონენტი 5.1.1.1) - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულია ოფიციალური ხარვეზი იმასთან დაკავშირებით, რომ კოლეჯს არ გააჩნია იზოლირებული, ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული საერთო სივრცეები და სველი წერტილები. შენობაში არსებულ სხვა ეკონომიკურ სუბიექტებთან ინფრასტრუქტურის საერთო სარგებლობა პირდაპირ ლახავს სტუდენტთა უსაფრთხოებას, სანიტარულ ნორმებსა და სასწავლო პროცესის ავტონომიურობას. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ფაქტობრივი, დადასტურებული მტკიცებულება.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა - მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კომპონენტი თავდაპირველად შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შესაბამისი“, დაწესებულებას დღეის მდგომარეობით არ წარმოუდგენია უსაფრთხოების (სახანძრო) საბოლოო დადებითი დასკვნა.

ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა პირველადი ავტორიზაციისას არ ითვალისწინებს ავტორიზაციის პირობით მინიჭების შესაძლებლობას, საბჭოს თავმჯდომარემ წამოაყენა წინადადება, 5.1 სტანდარტი საბოლოოდ შეფასდეს, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, კენჭისყრაზე დააყენა შპს პროფესიული კოლეჯი მენტორის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 42-ე მუხლის მე-11 პუნქტის, 45- ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, შპს პროფესიულ კოლეჯ მენტორს (ს/კ: 405835627) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 16:15 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გიგაშვილი ეკატერინე

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. No28
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	88
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.თბილისი, ც.დადიანის ქ. N26
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81